

04/06-187

2 ივნისი, 2016

თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს  
ქალბატონ თამარ ოქროპირიძეს

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას  
აღმასრულებელი დირექტორის  
ნინო გუჯარაიძის

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 მაისის განჩინებით (საქმე #3/3646-15) მოსარჩელე ა(ა)იპ “მწვანე ალტერნატივას” თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 იანვრის #3ბ/1733-16 განჩინების გათვალისწინებით დაუდგინდა ხარვეზი: მოსარჩელემ უნდა დააბუსტოს მის მიერ დაყენებული სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ დასახელებული განჩინების მე-7 გვერდის მეოთხე აბზაცის მეორე წინადადებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე ხელშეკრულების ბათილად ცნობას მოითხოვს სწორედ იმ საფუძველით, რომ იგი დადებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე და აღნიშნული წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის ერთადერთ საფუძველს.

იმავდროულად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინების მე-8 გვერდის პირველი აბზაცი), რაც უცვლელად იქნა გაზიარებული პირველი

ინსტანციის სასამართლოს მიერ (იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების მე-3 გვერდის მე-3 აბზაცი) განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს სარჩელი აღძრული აქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 23-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით და არა ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნით ასკ-ის 24-ე მუხლის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის ფაქტობრივი მოთხოვნაა მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ უზრუნველყოს 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის წარმოდგენა ნათარგმნი სახით, სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ „კვალიფიციურად“ (სასარჩელო მოთხოვნაა ხელშეკრულების ბათილად ცნობა და არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რაზეც განზრახ არასწორად მიუთითა სააპელაციო სასამართლომ და გაიმეორა პირველი ინსტანციის სასამართლომ) დაასკვნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა გამოიყენოს ასკ-ის 281 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და დაეხმაროს მხარეს სარჩელის ტრანსფორმირებაში, რის შედეგადაც მიღწეული იქნება პროცესის ეკონომიურობის მიზანი.

მიგვაჩნია, რომ არც სააპელაციო და არც პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულყოფილად არ შეისწავლა საქმის მასალები, რასაც ცალსახად ადასტურებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 იანვრის განჩინებაში წარმოდგენილი წინააღმდეგობრივი მოსაზრებები და მსჯელობები, რომლებიც უცვლელად იქნა გადმოტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 მაისის განჩინებაში, რის გამოც, ასევე არასწორად არის დადგენილი ხარვეზი - ჩვენს მიერ თითქოსდა ასკ-ის 22-ე, 23-ე მუხლების საფუძველზე აღძრული სასარჩელო მოთხოვნის - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ ტრანსფორმირების თაობაზე ასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე ქმედების განხორციელების შესახებ სასარჩელო მოთხოვნით.

სასამართლოს მიერ ამგვარად დადგენილი ხარვეზი კანონსაწინააღმდეგოა და უხეშად არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს სამართლიანი სასამართლოს შესახებ.

მიუხედავად ამისა, გემოლნიშნული განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით სასამართლოს მიერ განსაზღვრული 7 დღიანი საპროცესო ვადის დაცვით იძულებული ვართ

დამატებით წარმოვადგინოთ სასარჩელო მოთხოვნა ასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე: დაევალოს მოპასუხეს - საქართველოს მთავრობასა და სს "ონის კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის „ონის ჰესების კასკადის“ მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წარმოდგენა ნათარგმნი სახით, სახელმწიფო ენაზე და დამონმებული სათანადო წესით.

პატივისცემით,

---

ნინო გუჯარაიძე  
აღმასრულებელი დირექტორი